შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტური

გაზეთი IBSU

2018 წ. № 2 (8)

IBSU-ელი სტუდენტის წარმატება

გვ: 8

გამოშვება 2018

გვ: 6

ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა

4 ივლისს, ამერიკის მეგობართა კლუბმა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან ერთად, აშშ-ის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება გამართა. ღონისძიებაზე მიწვეულები იყვნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საქართველოს მთავრობის და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

გვ: 3

კულტურის ფესტივალი

სალომე მუხიგულაშვილი

გვ: 12

2018 წელს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში რიგით მეხუთე კულტურის ფესტივალი გაიმართა. უნივერსიტეტში 28 ქვეყნიდან 140 უცხოელი სტუდენტი სწავლობს. ფესტივალის ფარგლებში სტუდენტებმა თავისი ქვეყნის კულტურა და ტრადიციები წარმოადგინეს.

მზიანი, ფერადი სივრცე მრავალფეროვანი სტენდებით, ფერადი ბუშტებითა და ბევრი ღიმილით. ჭრელი დროშები ნაძვებს შორის, გვირილის გვირგვინიანი გოგონები და სხვადასხვა ფორმაში გამოწყობილი სტუდენტები. ბევრი სურნელი ერთად: სუჯუხის, აფხაზური ხალვის, ნიუორლეანსული ჯამბალის, დონატების, შოკოლადების და ა.შ. ფესტივალის გახსნამდე ერთ კუთხეში ნაციონალურ სამოსში გამოწყობილი ბავშვები ემზადებიან, მეორე მხარეს გიორგი ჯაფარიძე სპორტის დეპარტამენტის უფროსი ტრადიციულად წინა საფესტივალო განწყობას უქმნის სტუდნეტებს სხვადასხვა თამაშებით. პატარა მაგიდაზე დაწყობილი ხელნაკეთი ნივთები, სტენდების მოშორებით ვიოლინოს ხმა ისმის, იქვე ნახატების გამოფენაა. ეს ის დღეა, როცა სტუდნტები, ლექტორები, უნივერსიტეტის პერსონალი ერთად ერთობა და ეცნობა სხვადასხვა კულტურის გამოძახილს.

სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევა IBSU-ს პრიორიტეტული მიმართულებაა

გვ: 9

ჩვენს უნივერსიტეტში არქიტექტურის პირველი ინგლისურენოვანი პროგრამა გაიხსნა

გვ: 4

შეწყვიტე მოწევა!

გვ: 7

უნივერსიტეტი რომელიც ხრუნავს საკუთარი სტუდენტების რეალიზებასა და განვითარებაზე

გვ: 8

USAID-ის წარმომადგენლის საჯარო ლექცია

ბიზნესის მართვის ფაკულტეტის ორგანიზებით, USAID-ის პროექტის G4G ფარგლებში, კამელია ბულატის საჯარო ლექცია - „ასოციაციების მნიშვნელობა და მათი განვითარება" გაიმართა.

ლექციაზე კამელია ბულატმა ისაუბრა ბიზნეს ასოციაციების მნიშვნელობაზე და იმ ნიშნებზე და ელემენტებზე, რაც ბიზნეს ასოციაციებს განასხვავებს კომპანიებისა და საჯარო დაწესებულებებისგან. მან ასევე განიხილა ბიზნეს ასოციაციების შექმნასთან დაკავშირებული საკითხები. საჯარო ლექცია მოიცავდა ჯგუფურ მუშაობასაც.

კამელია ბულატი არის CIPE ექსპერტი და აქვს 15 წლიანი მუშაობის გამოცდილება მსოფლიოს მასშტაბით არსებულ მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან. მან ტექნიკური დახმარება და მხარდაჭერა გაუწია სამხრეთ აზიის, ბალკანეთის, აღმოსავლეთ ევროპისა და აფრიკის ქვეყნებში არსებულ სხვადასხვა ბიზნეს ასოციაციებსა და მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებებს.

სტუმრები ესტონეთიდან

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს, სამუშაო ვიზიტით, ესტონეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლები ესტუმრნენ. შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებმა ორმხრივი თანამშრომლობის შესაძლებლობები განიხილეს. საუბარი ასევე შეეხო ერთობლივ კვლევებს, სასწავლო და გაცვლით პროგრამებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის - ზაზა თავაძის საჯარო ლექცია გაიმართა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის - ზაზა თავაძის საჯარო ლექცია თემაზე - „კონსტიტუციური მართლმსაჯულება საქართველოში".

ღონისძიების ფარგლებში სტუმარმა ისაუბრა საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციების, სტრუქტურისა და კონსტიტუციური მართლმსაჯულების მოდელების შესახებ ევროპასა და ამერიკაში.

შეხვედრის ბოლოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის განახლდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

თბილისიდან ვაშინგტონში მიმავალი გზა

გვანცა ნოზაძე

„IBSU -მ შეგვიქმნა უსაფრთხო, საქმიანი და კეთილი გარემო განვითარებისთვის" შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული სალომე ლაგვილავა ვაშინგტონში საქმიანობას განაგრძობს.

სალომემ „შზსუ-ს" მრეწველობის ორგანიზაციის ფაკულტეტი 1996 წელს დაამთავრა. დაეხმარა თუ არა „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი" წარმატების მიღწევაში და რა გზა გაიარა ვაშინგტონამდე - ამ ყველაფერზე ჩვენთან ინტერვიუში საუბრობს.

- რას საქმიანობთ ახლა და როგორ მოხვდით ვაშინგტონში?

- 1995-96 წლებში ვმონაწილეობდი Fsa-flex გაცვლით პროგრამაში და

ერთი სასწავლო წლის განმავლობაში ვცხოვრობდი ამერიკულ ოჯახში, რომელიც შემდეგ დამეხმარა მაგისტრატურის გაგრძელებაში. ამერიკაში მაგისტრატურაზე სწავლის გასაგრძელებლად ჩამოვედი Shenandoah University-ში. ახლა ვმუშაობ კომპანია "DATABASICS, inc" აღმასრულებელი დირექტორის პოზიციაზე.

- დაგეხმარათ თუ არა IBSU ამ წარმატების მიღწევაში?

- IBSU, რა თქმა უნდა, დამეხმარა. უნივერსიტეტმა დამინიშნა სტიპენდია სწავლის სრული კურსის განმავლობაში. თანაც, იმ პერიოდში იქ თავმოყრილი იყვნენ საუკეთესო ლექტორები, რამაც სწავლის პროცესი უფრო დატვირთული და სასიამოვნო გახადა. მოკლედ, იბსუმ იმ პერიოდში შეგვიქმნა უსაფრთხო, საქმიანი და კეთილი გარემო განვითარებისთვის. ერთ-ერთი დადებითი მხარე, რამაც შემდეგში გამიადვილა ამერიკაში სწავლის გაგრძელება იყო ინგლისური ენის სექტორზე სწავლა და საკრედიტო სისტემა, რომელიც შეესაბამებოდა აქაურს. იბსუში ყოფნის დროს ძალიან მომწონდა ის ფაქტი, რომ უნივერისტეტი ყოველთვის ცდილობდა კულტურული ღონისძიებებით შეევსო ჩვენი სტუდენტური ცხოვრება, მიუხედავად იმ დროინდელი შეზღუდული რესურსებისა. ძალიან სასიამოვნოდ მახსენდება სწავლის პერიოდი და ვფიქრობ რომ გამიმართლა „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში" რომ მოვხვდი.

- როგორ შეაფასებდით IBSU-ს განათლების ხარისხს?

- IBSU-ს განათლების ხარისხს 18 წლის წინ დადებითად შევაფასებდი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იმ დროს ბევრი საუკეთესო ლექტორი იყო ერთად თავმოყრილი. მას შემდეგ, როგორც შორიდან ჩანს, ყველაფერი უკეთესობისკენ წავიდა, რაც ძალიან მახარებს.

- ქართულ კულტურას თუ ავრცელებთ ამერიკაში? თუ ტარდება კულტურული ღონისძიებები?

- რა თქმა უნდა, მეგობრების გარემოში ვავრცელებ. ღონისძიებებს პირადად არ ვხელმძღვანელობ, თუმცა შეძლებისდაგვარად ვესწრები საქართველოს საელჩოსა და ქართული სათვისტომო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ საღამოებს.

- და ბოლოს, რას ურჩევდით სტუ-

დენტებს?

- სტუდენტებს ვურჩევდი, რომ არასდროს არაფრისთვის არ არის გვიანი. თუ დღეს რაიმე აზრი, სურვილი, გეგმა გიტრიალებთ თავში და გულის სიღრმეში ფიქრობთ, რომ ეს უკვე დაგვიანებულია, არასდროს არ არის გვიანი თქვენი ოცნებებისა და მიზნების მიღწევა. (ჯერჯერობით ეს რჩევა მაქვს, მაგრამ რამდენიმე წლის მერე შეიძლება შეიცვალოს, მეც ვიზრდები.)

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ანი სანიკიძე - უფრო მოტივირებული და მონდომებული დავბრუნდი საქართველოში"

ნანი დავითაშვილი

ანი სანიკიძე „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტია, რომელიც გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ლიტვაში იმყოფებოდა. მან ჩვენთან ინტერვიუში მიღებულ გამოცდილებასა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

- ანი, მოგვიყევი რა ეტაპები გაიარე იმისთვის, რომ ლიტვაში წასულიყავი? რამდენი ხანი ელოდი პასუხს და როგორი ემოცია გქონდა, როდესაც შეიტყვე, რომ იქ სასწავლებლად წასვლა გიწევდა?

მე-2 კურსის მეორე სემესტრში გადავწყვიტე გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება, თუმცა დარწმუნებული არ ვიყავი, რომ წავიდოდი, რადგან ფაკულტეტიდან მხოლოდ ერთს შეეძლო წასვლა. სემესტრის დამთავრებამდე ერთი თვით ადრე დავიწყე მზადება, დეკანი და კოორდინატორები ძალიან დამეხმარნენ. არ დამავიწყდება პასუხის მიღებისას განცდილი ემოცია. იმ დღიდან ვემზადებოდი ახალი თავგადასავლებისთვის.

- როგორი გარემო დაგხვდა უნივერსიტეტში?

ძალიან მეგობრული, მულტიკულტურული და პოზიტიური გარემო დამხვდა.

- ყველაზე მეტად რით დაგამახსოვრა თავი „მიკოლას რომერის უნივერსიტეტმა"?

„მიკოლას რომერის უნივერსიტეტში" სწავლა საკმაოდ შრომატევადი, რთული და ამავე დროს სასიამოვნო აღმოჩნდა. იმისთვის, რომ ამ უნივერსიტეტში სასურველი შედეგისთვის მიმეღწია ბევრი შრომა მიწევდა, თუმცა უამრავი გასართობი ექსკურსია და ღონისძიება მოწყენისა და დაღლის საშუალებას არ მაძლევდა. აღმოვაჩინე უამრავი ისტორიული ადგილი, არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მის გარეთაც.

- დღევანდელი გადმოსახედიდან, რა მოგცა ლიტვაში გატარებულმა დღეებმა?

გაცვლითმა პროგრამამ მომცა დამოუკიდებლად ცხოვრების დიდი გამოცდილება და გამიღრმავა ცოდნა ჩემს საქმიანობაში. საქართველოში უფრო მეტად თადაჯერებული, მოტივირებული და მონდომებული დავბრუნდი.

- მოგვიყევი შენი სამომავლო გეგმების შესახებ, აპირებ თუ არა სწავლის გაგრძელებას საზღვარგარეთ?

რა თქმა უნდა, ვაპირებ მაქსიმალურად გამოვიყენო სტუდენტობის პერიოდი და მივიღო მონაწილეობა სხვადასხვა პროექტში. რაც შეეხება შემდეგ მიზანს, მსურს, მაგისტრატურის გაგრძელება საფრანგეთში, კერძოდ "ლიონის" უნივერსიტეტში.

- რას ურჩევდი იმ სტუდენტებს, რომელთაც სურთ, რომ გაცვლითი პროგრამის მეშვეობით წავიდნენ სასწავლებლად?

გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველებს ვურჩევ მაქსიმალურად,გამოიყენონ ყველა შანსი და მიიღონ მონაწილეობა რაც შეიძლება მეტ პროგრამაში. პირადად ჩემთვის, ეს ერთ-ერთი ყველაზე დაუვწყარი და სასიამოვნო გამოცდილება იყო.

„იაზროვნე კრიტიკულად და იდებატე გამარჯვებისთვის"

თინათინ მარსაგიშვილი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი უამრავი საგანმანათლებლო და წამახალისებელი პროექტის მხარდამჭერია. „შზსუ" ზრუნავს არა მარტო საკუთარ სტუდენტებზე, არამედ თითოეულ მოსწავლეზე მთელი საქართველოს მასშტაბით.

„შზსუ-მ" "თავისუფალი განათლების აკადემიის" მიერ ორგანიზებულ პროექტს - „იაზროვნე კრიტიკულად და იდებატე გამარჯვებისთვის" უმასპინძლა. ორგანიზაცია 2017 წლის 29 მარტს დაარსდა და მის არაფორმალურ განათლების სექტორში სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები არიან ჩაბმულნი. სწორედ, მათი

თავდაუზოგავი შრომის შედეგია მრავალი წარმატებულად ჩატარებული ტრენინგი, კონფერენცია, დებატი და სხვა. ჟიურის წევრები არიან: ვახტანგ ჟვანია (საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტი), ნანა გოგოჩაიშვილი (ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი), ნათანიელ ერიაშვილი (თეოლოგი, ბლოგერი), გიორგი მექვაბიძე(ახალგაზრდა კრიმინოლოგთა ჯგუფი), ვახტანგ ხმალაძე (საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, ლექტორი), ნინო ნიშნიანიძე (სამართლის დოქტორი). პროექტის მიზანი სამოქალაქო ცნობიერების, განათლების დონის ამაღლებაა და ის რამდემე ეტაპისგან შედგება. პირველ დღეს სუაბარი შეეხებოდა თანამედროვე პრობლემატურ საკითხებს, მაგალითად: არის თუ არა ისლამი აგრესიული რელიგია და წარმოადგენს თუ არა საფრთხეს მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობისთვის? იყო თუ არა ჯვაროსნული ლაშქრობების მიზანი ქრისტიანობის დაცვა? უნდა ჰქონდეს თუ არა ავადმყოფს ევთანზიის უფლება? ნატო - მშვიდობის გარანტი თუ სამხედრო აგრესორი? ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია; როგორი იქნებოდა მსოფლიო საბჭოთა კავშირი რომ არ დაშლილიყო? უნდა არსებობდეს თუ არა სიკვდილით დასჯა? გლობალიზაცია - კულტურული განვითარების შესაძლებლობა თუ ეროვნული იდენტობის დაკარგვა? მეორე დღეს, ნახევარ ფინალში ოთხი გუნდიდან ორი გუნდი აირჩა, ძირითადი თემები კი ნარკოპოლიტიკა და ნაციონალიზმი იყო. ნარკოპოლიტიკის უარმყოფელები და ნაციონალიზმის მომხრეები გადავიდნენ ფინალში. ასევე მოდებატეებს მოუწიათ ჟიურის წევრების მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა. საბოლოოდ გამარჯვებული გუნდიც გამოვლინდა და თავისუფალი განათლების აკადემიამ მედლებით დაჯილდოვა მისი წევრები. „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი" სამომავლოდ არაერთი მსგავსი პროექტის მასპინძლობას გეგმავს.

„მიზნებს თეთრად გათენებული ღამეების ხარჯზე მივაღწიეთ“ - გიორგი მაისურაძის ლატვიური გამოცდილება

გიორგი მაისურაძე „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მარკეტინგის მიმართულების მესამე კურსის სტუდენტია, რომელიც გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ლატვიაში იმყოფებოდა. მან ჩვენთან საუბრისას Stockholm School of Economics in Riga-ში გატარებული დღეები გაიხსენა და გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღების მსურველ სტუდენტებს რჩევები მისცა.

ნანი დავითაშვილი

- რატომ გაგიჩნდა სურვილი, რომ გაცვლით პროგრამაში მიგეღო მონაწილეობა?

გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა ყველა სტუდენტის ოცნება თუ არა, ყოველ შემთხვევაში, დიდი სურვილია. როდესაც ვაბარებდი, ვიცოდი, რომ IBSU-ს მრავალი გაცვლითი პროგრამა ჰქონდა. მესამე კურსის პირველ სემესტრში მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყიტეთ, რომ ეს პერიოდი უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად იდეალური იქნებოდა. ახალი გამოწვევები, გამოცდილება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ახალი მიზნები, ნამდვილად, საუკეთესო გზაა პიროვნული განვითარებისთვის. ახლაც მახსოვს, როგორ ვარჩევდით

უნივერსიტეტებს.

- როგორი იყო ლატვიის უნივერსიტეტში ყოფნის პერიოდი? რამდენად გაგიადვილდა შენთვის უცხო გარემოსთან შეგუება?

SSE in Riga (Stockholm School of Economics in Riga) - შორიდან, სწორედ, ისეთი უნივერსიტეტის შთაბეჭდილებას ტოვებდა, სადაც სწავლა უპირველესი პრიორიტეტია. იქ ჩასვლისა და უნივერსიტეტში 1 სემესტრის გატარების შემდეგ კი, შემიძლია სიამაყით ვთქვა, რომ ბალტიისპირეთის ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტში ვისწავლე. ამ უნივერსიტეტის პრესტიჟულობას სწავლის მაღალი ხარისხი განაპირობებს. აშშ -ის ყველა სტუდენტი ორიენტირებულია წარმატების მიღწევაზე და ისინი არ იშურებენ არანაირ რესურსს საკუთარი მიზნების მისაღწევად. ამის გამო, შშ -ის სტუტენდებზე, დასაქმების თვალსაზრისით, დიდი მოთხოვნაა სხვადასხვა კომპანიაში.

უნივერსიტეტის შიგნით არსებული სტუდენტური კონკურენციის გამო, თავდაპირველად, ადაპტაციის პროცესი საკმაოდ გამიძნელდა, თუმცა როგორც კი ალღო ავუღეთ იქაურ სისტემას და ბოლომდე გავიაზრეთ, თუ რას ითხოვდნენ ლექტორები ჩვენგან, ყველაფერი გაადვილდა. დასახულ მიზნებს კი მხოლოდ დიდი შრომითა და „თეთრად გათენებული“ ღამეებით მივაღწიეთ.

- რამდენიმე წინადადებით აღგვიწერე Stockholm School of Economics-ში გატარებული 1 დღე

უნივერსიტეტში ყოფნის დღეებიდან ერთის ამორჩევა რთულია, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი „საერთაშორისო სტუდენტური დღე“ იყო. ამ დღეს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული სტუდენტები პრეზენტაციებს აკეთებენ საკუთარ ქვეყნებზე. ჩვენ დიდი სიამაყით წარვადგინეთ საქართველო. ძალიან სასიამოვნო გამოცდილებაა, როდესაც გიწევს დაახლოებით 20 სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ სტუდენტთან ურთიერთობა და თანამშრომლობა.

- პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, რამდენად დიდი როლი ითამაშა იქ მიღებულმა განათლებამ და გამოცდილებამ შენს ცხოვრებაში?

რაც შეეხება პროფესიულ განვითარებას, გაცვლითმა პროგრამამ გაახალისა და მეტი ელფერი შესძინა ჩემს ცხოვრებას. ლატვიაში მიღებულმა ცოდნამ და გამოცდილებამ პროფესიული თვალსაზრისით ძალიან გამზარდა. ცხოვრების ამ ეტაპზე კი მივისწრაფი ახალი სირთულეებისა და გამოწვევებისაკენ.

- სამომავლოდ ლატვიაში ხომ არ გეგმავ სწავლის გაგრძელებას?

ლატვიაში გატარებული შესანიშნავი 5 თვის შემდეგ, რა თქმა უნდა, მაქვს სურვილი, რომ კიდევ ერთხელ მოვინახულო ეს ქვეყანა, თუმცა არამგონია სასწავლებლად დავბრუნდე.

საკუთარი თავის გამოცდა ახლა უკვე სხვა ქვეყნაში მირჩევნია. იქ, სადაც მრავალი ახალი შესაძლებლობა მექნება კარიერული წინსვლისათვის.

- შენი აზრით, რომელი თვისება დაგეხმარა წარმატების მიღწევაში და რას ურჩევდი მათ, ვისაც მსგავს აქტივობაში მონაწილეობის მიღება სურს?

გაცვლითი პროგრამა ეხმარება ადამიანს საკუთარი თავის გამოვლენაში. ეს არ არის მხოლოდ სწავლასთან დაკავშირებული, პირველ რიგში, გიწევს ცხოვრება შენთვის უცხო ქვეყანაში, რასაც მრავალი სირთულე ახლავს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერანაირმა დაბრკოლებამ ვერ უნდა შეაშინოს ადამიანი. ადაპტაციის პერიოდის გავლის შემდეგ თავიდან ბოლომდე დარწმუნდებით თქვენი ნაბიჯის სისწორეში. ჩემი მთავარი რჩევა იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა სურთ, იქნება უპირველეს ყოვლისა, სურვილის გამოთქმა და გონებაში ამ სურვილის ძალიან კარგად გააზრება, შემდეგ კი, შრომა და წინ სვლა მანამ, სანამ არ მოგივათ თანხმობა რომელიმე პრესტიჟული უნივერსიტეტისგან. გახსოვდეთ, სწორედ ამ წერტილიდან იწყება ადამიანური უნარ-ჩვევების უმთავრესი გამოცდა.

ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა

4 ივლისს, ამერიკის მეგობართა კლუბმა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან ერთად, აშშ-ის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება გამართა. ღონისძიებაზე მიწვეულები იყვნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საქართველოს მთავრობის და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები. აშშ-ის დამოუკიდებლობის დღის საზეიმო მიღებას დაესწრო და მოწვეულ სტუმრებს საზეიმო სიტყვით მიმართა, აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა, ქალბატონმა ელიზაბეტ რუდმა. რუდმა დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა და მის გაფრთხილებასა და მუდმივად დაცვის საჭიროებას გაუსვა ხაზი: ‘ჩვენი მეგობრობა სხვადასხვა პარტნიორთან გვაძლიერებს და ჩვენც ვაძლიერებთ მეგობრებს. ქვეყნებს შორის მეგობრობას ქმნის ბევრი საერთო ინტერესის ქონა. ამ საღამოს, უამრავი მეგობრის გარემოცვაში ვართ, რაც გვახარებს. საქართველოსაც სხვადასხვა დროს უწევდა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა და მისი შენარჩუნება. ჩვენ, საქართველოს დიდი ხანია გვერდით ვუდგავართ ამ საქმეში და დღემდე მხარს ვუჭერთ საქართველოს გარე ოკუპანტებთან ბრძოლაში. ამასთან, მტკიცედ ვუჭერთ მხარს მის თ -ში გაწევრიანებას. გვწამს, რომ საქართველო ამისათვის მზად არის.” ასევე, წვეულების ფარგლებში, გაიმართა 4 ივლისის საქველმოქმედო ლატარიის გათამაშება და შემოსული თანხა მთლიანად გადაეცა „ბერი ანდრიას სახელობის საქველმოქმედო ფონდს“, რომელიც სიმსივნით დაავადებული ბავშვებზე ზრუნავს.

განათლების საერთაშორისო გამოფენა 2018

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ტრადიციულად მასპინძლობს აბიტურიენტებს განათლების საერთაშორისო გამოფენაზე.

23-24 თებერვალს, ექსპო ჯორჯიას მე-11 პავილიონში, იბსუ-ს სტენდთან, ფაკულტეტების წარმომადგენლები და მოხალისე სტუდენტები, ყველა იმ სასწავლო პირობებს და შედავათებს წარუდგენენ სტუმრებს, რომელსაც მათ უნივერსიტეტი 2017-2018 სასწავლო წლის ფარგლებში სთავაზობს.

აღსანიშნავია, რომ იბსუმ ნომინაცია “სტენდის დიზაინის ახალ კონცეფციაში” გაიმარჯვა.

ბულგარეთის ელჩი გვეწვია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ბულგარეთის ელჩი საქართველოში, დესისლავა ივანოვა ეწვია. ელჩს სამართლის პროგრამის, საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის პროგრამის სტუდენტები შეხვდნენ.

შეხვედრაზე განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: ევროინტეგრაცია და საქართველოში არსებული გამოწვევები და მიმდინარე მოვლენები. სტუმრებსა და სტუდენტებს შორის აქტიური დისკუსიაც მოეწყო.

ღონისძიება ,პროექტის ,,ევრაზიის დემოკრატიული უსაფრთხოების ქსელის“ ფარგლებში გაიმართა. პროექტი ხორციელდება სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ, რომელსაც დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდი (NED) აფინანსებს.

ევროპის ფონდისა და CRRC-ს თავმჯდომარის საჯარო ლექცია გაიმართა

ბიზნესის მართვის ფაკულტეტის ორგანიზებით 25 მაისს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერისტეტის კვლევებისა და ინოვაციების ჰაბში ჩატარდა ევროპული ბიზნეს - ასოციაციის გენერალური დირექტორის, ბიზნესმენის, ევროპის ფონდისა და CRRC-ს თავმჯდომარის - დევიდ ლის საჯარო ლექცია „ლიდერობა - სტუდენტობიდან კომპანიის მენეჯერობამდე“.

ლექციის ფარგლებში დევიდ ლიმ წარმოადგინა სტუდენტებისთვის საინტერესო ახალი პროექტი (EBA affiliate for students), რომელიც ითვალისწინებს ევროპული ბიზნეს ასოციაციის წევრი კომპანიებისათვის სხვადასხვა საკითხებზე მუშაობას და გამოცდილების მიღების უნიკალურ შესაძლებლობას.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠᲔᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროგრამების ჩამონათვალს არქიტექტურის ინგლისურენოვანი პროგრამა ემატება. პროგრამამ აკრედიტაცია უკვე გაიარა და პირველ სტუდენტებს ახალი სასწავლო წლიდან მიიღებს. პროგრამას უნიკალური შეიძლება ეწოდოს, ვინაიდან იგი პირველი და ერთადერთი ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამაა არქიტექტურის მიმართულებით.

პროგრამის კოორდინატორის,გიორგი წანაწყენიშვილის თქმით, ის ფაქტი, რომ პროგრამა ინგლისურენოვანია, განსაკუთრებით უცხოელ სტუდენტებს დააინტერესებთ. თუმცა, ქართველ სტუდენტებშიც პოპულარული იქნება, ვინაიდან ეს შესაძლებლობა, მათ შემდგომ ეტაპზე პროექტირებას გაუადვილებს.

გიორგი წანაწყენიშვილი: პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს ინგლისურ ენაზე შეისწავლონ სპეციალობა, ტერმინოლოგია. ყველა ის საგანი, რომლებსაც სწავლობენ, ინგლისურენოვანია. სტუდენტები უზრუნველყოფილები იქნებიან ინგლისურენოვანი ლიტერატურით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ფაქტობრივად მთელი თანამედროვე ლიტერატურა არქიტექტურის შესახებ ინგლისურ ენაზეა. ეს სტუდენტებს მეტ საშუალებას აძლევს საჭირო ლიტერატურაზე წვდომისათვის.

უნივერსიტეტს გააჩნია სპეციალურად არქიტექტურის სპეციალობისათვის აღჭურვილი აუდიტორია – სტუდია და პროგრამისათვის საჭირო ყველანაირი ატრიბუტი.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ 2017 წლის პირველი იანვრიდან სამშენებლო სფეროში ძალაში შევიდა რეგულაციის ახალი ნორმები, რომელთაც ჩვენ სტუდენტებს ამ პროგრამის ფარგლებში შევასწავლით.

–ვინ იყო ჩართული პროგრამის შემუშავებაში?

-პროგრამის შემუშავებაში ჩართულები იყვნენ ევროპელი პროფესორები. მისი სტრუქტურა შეესაბამება თანამედროვე ევროპულ სტანდარტებს და პროგრამის შედგენისას გამოყენებული იყო ევროპის რამდენიმე წარმატებული არქიტექტურული სკოლის მაგალითი.

–პროფესორ-მასწავლებლები მხოლოდ ქართველები იქნებიან?

-არა. სწავლების პროცესში ჩაერთვებიან უცხოელი პედაგოგებიც, რომელთანაც ჩვენ შრომითი ხელშეკრულებები გვაქვს გაფორმებული.

–სწავლება მხოლოდ თეორიულ კურსს გულისხმობს თუ პრაქტიკულ სამუშაოსაც?

-სწავლება მთლიანად თეორიულ და პრაქტიკულ კურსს ეფუძნება. პირველი სემესტრის პირველივე დღიდან სტუდენტები პრაქტიკულ სამუშაოს დაიწყებენ. არქიტექტორისათვის პრაქტიკული სამუშაო ხომ ძალიან მნიშვნელოვანია. პარალელურად მათ თეორიაც ემატებათ და პრაქტიკას და თეორიას ერთად გადიან. პირველი და მეორე სემესტრი პროექტირებისათვის მოსამზადებელი იქნება. ისინი გაივლიან არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლებს, ტექნიკურ ხაზად – არქიტექტურულ გრაფიკას. მესამე სემესტრში კი პროექტის კეთებას დაიწყებენ. ძირითადი საგნების პარალელურად თანდათანობით ჩაერთვება ყველა ის საგანი. რომლის გავლაც საჭიროა. მაგალითად ხელოვნების ისტორია და ა.შ.

ჩვენ მემორანდუმი გვაქვს გაფორმებული თბილისის მერიასთან, რამდენიმე არქიტექტურულ კომპანიასთან და ჩართულები გვყავს პედაგოგები, რომელთაც თავად აქვთ კომპანიები, ან გააჩნიათ კომპანიებთან თანამშრომლობის გამოცდილება. ასე რომ, სწავლება მაქსიმალურად მრავალფეროვანი იქნება. სტუდენტებს ექნებათ საშუალება გავიდნენ და ადგილზე გაეცნონ თუ როგორ ხდება საპროექტო სამუშაოების წარმოება, ზედამხედველობა გაუწიონ მშენებლობას და ა.შ. სწავლების სხვადასხვა საფეხურზე მათ ასეთი პრაქტიკული გასვლები აუცილებლად ექნებათ.

–საიდან გაჩნდა აღნიშნული პროგრამის შექმნის იდეა? იყო თუ არა მოთხოვნა?

- დიახ,ბაზარზე მოთხოვნა იყო და არის, რადგან დღეს საქართველოში არქიტექტურულ საპროექტო დოკუმენტაციას ინგლისურ ენაზე სულ უფრო და უფრო ხშირად ითხოვენ. გარდა ამისა, ხშირად ხდება, როცა საზღვარგარეთიდან საპროექტო დოკუმენტაცია შემოდის, მაგალითად პროექტი რომელიღაც ქვეყანაში დამუშავდა და საქართველოში ეს დოკუმენტაცია ქართულ რეალობას უნდა მოარგონ. ძირითადად დოკუმენტაცია ინგლისურად არის ხოლმე შედგენილი, პროექტის ადაპტირებას კი იმ ენის ცოდნა სჭირდება, რომელზეც შედგენილია. ხშირად ამის გამო თარჯიმანთა ბიუროებს უკავშირდებიან, რომლებიც გარკვეულ ნიუანსებს არასწორად თარგმნიან და მუდმივად პრობლემაა. აღნიშნული პროგრამა ქართულენოვან სტუდენტებს ამაშიც დაეხმარება. მათთვის გაცილებით ადვილი იქნება საპროექტო დოკუმენტაციის ათვისება.

შესწავლილია ბაზარიც და ინგლისურენოვანი არქიტექტურული განათლების მქონე სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნაა, ვინაიდან აქ უამრავი საერთაშორისო კომპანია მუშაობს. სამშენებლო ბიზნესში ბაზრის ძალიან დიდი წილი უჭირავს უცხოურ კომპანიებსა და უცხოურ ინვესტიციებს. შესაბამისად, სჭირდებათ სპეციალისტები, რომელთაც არქიტექტურული განათლება ინგლისურ ენაზე აქვთ მიღებული.

–როგორი იქნება მიღების პროცესი?

- აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტები ჩვეულებრივ,ერთიანი ეროვნული გამოცდებით მოხვდებიან. მათ შორის უცხოელი სტუდენტებიც ჩააბარებენ ისე, როგორც ეს აპრობირებულია.

–რამდენი ადამიანის მიღებას გეგმავთ?

-30 ადამიანის.

–უნდა ველოდოთ თუ არა აღნიშნული მიმართულებით სამაგისტრო პროგრამასაც?

-დიახ, უახლოეს მომავალში სამაგისტრო პროგრამაც დაემატება.

ᲡᲕᲘᲤᲢᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲠᲔᲛᲝᲜᲘᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სვიფტის ოლიმპიადის დაჯილდოვების ცერემონია გაიმართა.

IBSU -მ, როგორც სვიფტის გენერალურმა სპონსორმა, განათლების აქტიურმა ხელშემწყობმა და სტუდენტთა მხარდამჭერმა, სვიფტელებისთვის საუკეთესო პრიზები დააწესა - სამოქალაქო განათლების ოლიმპიადაში პირველ ადგილზე გასული სვიფტელისთვის 100% გრანტი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში

მეორე ადგილას გასული სვიფტელისთვის 75% გრანტი

მესამე ადგილას გასული სვიფტელისთვის 60% გრანტი

მეოთხე ადგილას გასული სვიფტელისთვის 50% გრანტი

მეხუთე ადგილას გასული სვიფტელისთვის 50% გრანტი.

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთი სასწავლო კურსის - „სკანდინავიის ქვეყნების საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში საქართველოში შვედეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილემ - ერიკ სალგრემ ფონ შენტმა შვედების საგარეო პოლიტიკის მახასიათებლებისა და განვითარების შესახებ სტუდენტებთან დისკუსია გამართა.

მოწვეულმა სტუმარმა ისაუბრა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შვედეთის საგარეო პოლიტიკის განვითარების ძირითადი ეტაპების, ფემინისტური საგარეო პოლიტიკის მნიშვნელობის, საერთაშორისო ურთიერთობების მრავალმხრივი სისტემის მიმართ მხარდაჭერის, კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობის დამყარების შესახებ.

სტუმარმა ასევე ხაზი გაუსვა იმ შემთხვევებს, როდესაც შვედეთი აქტიურად მონაწილეობდა ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის, გენდერული თანასწორობის დამყარებისა და მდგრადი განვითარებისათვის ხელშეწყობის პროცესში.

ლექციის შემდეგ სტუდენტებსა და სტუმარს შორის საინტერესო დისკუსია გაიმართა.

ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

23-24 მაისს, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის, კავკასიის უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ევროპის უნივერსიტეტის მხარდაჭრით გამართა აბრეშუმის გზის მე-13 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას თემაზე: “ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები მსოფლიოში და ახალი გამოწვევები”.

ღონისძიებაში მონაწილეობს 70-მდე მომხსენებელი საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, ირანიდან, იტალიიდან, ნიგერიიდან, პოლონეთიდან, ასევე, ხორვატიიდან, უკრაინიდან და არაბთა გაერთიანებული საამიერობიდან.

კონფერენციის მიზანია ხელი შეუწყოს ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებას, მეცნიერებს, მკვლევარებს, და ინდუსტრიის ექსპერტებს, განიხილონ მსოფლიო ეკონომიკის რხევები, კვლევის შედეგები და ერთმანეთს გაუზიარონ წარმატებული პრაქტიკა და გამოცდილება.

IBSU-ᲡᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲐᲨᲨ-Ს ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲜᲔᲜ

აშშ-ს საელჩოს პრეს-ატაშეს მოადგილემ, ერინ მაი ჯარეტმა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისა და ლექტორებისთვის გამართა პრეზენტაცია მედია წიგნიერების შესახებ.

ქალბატონმა ჯარეტმა განიხილა ყალბი ინფორმაციის სხვადასხვა მაგალითები და ის სტრატეგიები, თუ როგორ უნდა გამოვავლინოთ ასეთი სახის ინფორმაცია.

პრეზენტაცია საინტერესო დისკუსიით გაგრძელდა.

IBSU-მ განათლებისა და ინგლისური ენის სწავლების საერთაშორისო კონფერენციას (IRCEELT) უმასპინძლა

წელს უკვე მერვედ „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი" „განათლებისა და ინგლისური ენის სწავლების საერთაშორისო კონფერენციას" მასპინძლობს. კონფერენცია განათლების, ინგლისური ენის სწავლების, ინგლისური ენისა და ინგლისურენოვანი ლიტერატურის საკითხების კვლევას ეძღვნება. მასში 30-მდე ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობს. კონფერენცია „შზსუ-ს" განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერაა ორგანიზებული.

ყოველწლიური კონფერენცია მიზნად ისახავს მკვლევარების, პრაქტიკოსების, პოლიტიკოსებისა და აკადემიური სფეროს წარმომადგენლების ხელშეწყობას, იმსჯელონ და განიხილონ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები, დაძლიონ გამოწვევები, განვითარდნენ პროფესიულად, გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება და მოსაზრებები. აგრეთვე, კონფერენცია ემსახურება მთავარ მიზანს - ხელი შეუწყოს თეორიასა და პრაქტიკას შორის არსებულ მჭიდრო კავშირს, რომლის მეშვეობითაც შეისწავლიან კვლევის შედეგების პრაქტიკაში გამოყენების სხვადასხვა შესაძლო პერსპექტივას. "კონფერენციაში ტრადიციულად მონაწილეობენ გამოცდილი და ცნობილი პედაგოგები, პროფესორები და განათლების სპეციალისტები 30-მდე სხვადასხვა ქვეყნიდან, ესენია: საქართველო, დიდი ბრიტანეთი, შეერთებული შტატები, უნგრეთი, ესპანეთი, ლატვია, ფინეთი, ისრაელი, ბელორუსი, თურქეთი, რუსეთი, სომხეთი, ყაზახეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, ირანი, ერაყი, ინდოეთი, იორდანია, მალაიზია, ფილიპინები, სამხრეთ კორეა, ომანი, ყატარი, ტაილანდი, ნიგერია, ალჟირი და განა.

კონფერენციის სამუშაო ენა არის ინგლისური. წარმოდგენილი ნაშრომები მოიცავს საინტერესო თემებს, როგორებიცაა: განათლება (ისტორია, ფსიქოლოგია, განათლების თეორიული საკითხები); სასწავლო გარემოს მენეჯმენტი; განათლების ლიდერობა, მენეჯმენტი და ადმინისტრირება; უცხოური ენების სწავლების მეთოდები (სიახლეები და ეფექტურობა); საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში; ანგლო-ამერიკული ლინგვისტიკა და ლიტერატურა; ენა და კულტურა", - ნათქვამია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

DAAD-ის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა ლექცია ჩაატარა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს -ის (გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური) საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი, დოქტ. გებჰარდ როილი და ცენტრის თანამშრომელი თამარ ლაცაბიძე ეწვივნენ. სტუმრები უნივერსიტეტის რექტორს, თანამშრომლებსა და სტუდენტებს შეხვდნენ და ცენტრის საქმიანობისა და დანიშნულების შესახებ ისაუბრეს.

სტუმრებმა პრეზენტაციის მეშვეობით დამსწრეთ დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდეს გერმანიაში სწავლის შესაძლებლობებზე, კერძოდ, წელიწადში სამჯერ მოკლევადიანი გაცნობითი ვიზიტები გერმანიის წამყვან უნივერსიტეტებში, გერმანული ენის საზაფხულო და ზამთრის სკოლების შესახებ, სამაგისტრო პროგრამების მრავალფეროვნებისა და -ის სტიპენდიების/დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობების შესახებ როგორც დოქტორანტებისთვის, ისე ახალგაზრდა მკვლევარებისთვის.

საუბარი შეეხო გაცვლითი პროგრამების და ერთობლივი პროექტების განხორციელების პერსპექტივებსაც.

„ქართული სახელმწიფოებრიობა და დიპლომატიკა"

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ექსპოზიცია „ქართული სახელმწიფოებრიობა და დიპლომატიკა" მოამზადეს, რომელიც საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავს მიეძღვნა.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო ოფიციალური საბუთების ისტორია ჩვენამდე მოღწეული პირველი დოკუმენტებიდან დაწყებული - დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, კერძოდ, მეფეთა სიგელ-გუჯრების ასლები და სამოქალაქო და სისხლის სამართლის საბუთები: არზა-ოქმები, სასისხლო სიგელები, მეფეთა და ბატონიშვილთა განაჩენები და განჩინებები, აგრეთვე, ქართულ-სპარსული, ქართულ-ოსმალური და ქართულ-რუსული ურთიერთობების დროს დადასტურებული საბუთები, იმდროინდელი ოფიციალური მიმოწერის ამსახველი თხოვნა-წერილები, პირველ ქართულ გაზეთში - „საქართველს გაზეთში" გამოქვეყნებული ოფიციალური დოკუმენტები და სხვ.

ექსპოზიციაზე სტუდენტებმა საინტერესოდ წარმოადგინეს ოფიციალური საქმისწარმოების, ისტორიული საბუთების შედგენისა და გაფორმების წესი და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა პერიოდის დიპლომატიკისათვის დამახასიათებელი თავისებურებები.

„ნაციონალისტური ნარატივები და მეხსიერების ფორმირება ყოფილი კომუნისტური ბლოკის ქვეყნებში"

12 ივნისს პროექტ „ნაციონალისტური ნარატივები და მეხსიერების ფორმირება ყოფილი კომუნისტური ბლოკის ქვეყნებში", მრგვალი მაგიდის დისკუსიის ფორმატში, დასკვნითი ღონისძიება გაიმართა. დისკუსიის ფარგლებში, პროექტის მონაწილე სტუდენტებმა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან წარადგინეს საკუთარი კვლევითი ნაშრომები, რომლებიც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალის (ჟშშ) სპეციალური გამოშვების სახით გამოქვეყნდა.

დისკუსია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორთან, ილიას ჩილოღლუსთან ერთად საკვანძო მოხსენებებით გახსნა პოლონეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, მარიუშ მაშკიევიჩმა, ლიტვის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში გიედრიუს პუოჯუნასმა და ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა, ლაშა ბაქრაძემ.

სტუმრებმა ისაუბრეს თანამედროვე ნაციონალისტურ კონტექსტებზე პოლონეთში, ლიტვასა და საქართველოში, რის შემდეგაც ისინი დისკუსიაში ჩაერთნენ სტუდენტებთან.

ღონისძიება გაგრძელდა სტუდენტების მოხსენებებით, რომლებმაც მიიღეს ინდივიდუალური შეფასებები მოწვეული ექსპერტებისგან, პროფესორ-მასწავლებლებისგან და დარგში აქტიურად მოღვაწე მკვლევრებისგან. სტუდენტებთან დისკუსიაში მონაწილეობდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ოლივერ რაისნერი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მკვლევარი და შავი ზღვის საერთაშორისო ნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი ლევან კახიშვილი, კოორდინატორი ბერგჰოფის ფონდის პროექტში "ისტორია და მეხსიერება როგორც დიალოგის საფუძველი" ელენე ნათენაძე და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ივანნა მაჩიტიძე.

საგანმანათლებლო-კვლევითი პროექტი „ნაციონალისტური ნარატივები და მეხსიერების ფორმირება ყოფილი კომუნისტური ბლოკის ქვეყნებში" 2017 წლის დეკემბერში დაიწყო და სამ ეტაპს მოიცავდა: დეკემბრის განმავლობაში გაიმართა სალექციო კურსი, რომლის ფარგლებშიც პროექტის მონაწილეებმა მოისმინეს ქართველი და უცხოელი ექსპერტების 10 ლექცია, რის შემდეგაც მათ პროექტის მონაწილე მომხსენებლებთან ერთად იმუშავეს ანალიტიკურ სტატიებზე, რომელიც გამოქვეყნდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ჟურნალის (ჟშშ) სპეციალური გამოშვების სახით.

ევროპარლამენტის მრჩევლის საჯარო ლექცია: "ადამიანთა საერთაშორისო უფლებები"

ევროპარლამენტის მრჩევლის საჯარო ლექცია: „ადამიანთა საერთაშორისო უფლებები"

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვევით ფრანჩესკო აგნელლო (პოლიტიკის მრჩეველი ევროპარლამენტში) გაუძღვა ლექციების ციკლს - „ადამიანთა საერთაშორისო უფლებები".

რამდენიმე დღიანი შეხვედრის ფარგლებში სტუდენტები გაეცნენ სხვადასხვა თემატიკას, მათ შორის: როგორ ხდება ადამიანთა უფლებების დაცვა საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით და ნართულნი იყვნენ დისკუსიაშიც. ლექციის ბოლოს სტუდენტებს გადაეცათ სერტიფიკატები.

Erasmus პლუსის აკადემიური პერსონალის ვიზიტი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს კოქმინსკის უნივერსიტეტიდან (ვარშავა, პოლონეთი), საერთაშორისო ბიზნეს კომუნიკაციების განყოფილების უფროსი დოქტ. ჰალინა ვიშნიევსკა ეწვია.

ვიზიტი რასმუს+ აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში შედგა, სადაც ქ-ნ ჰალინა უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსს და თანამშრომლებს შეხვდა და წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე „კულტურათაშორისი კომპეტენცია საერთაშორისო ადამიანური რესურსების მართვაში". ორივე მხარემ განიხილა უახლოეს მომავალში საინტერესო ერთობლივი პროექტების, კვლევების, სემინარებისა და საჯარო ლექციების ჩატარების პერსპექტივები.

ნაზარბაევის უნივერსიტეტის წარმომადგენლები გვეწვივნენ

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ნაზარბაევის უნივერსიტეტის წარმომადგენლები ეწვივნენ (ასტანა, ყაზახეთი), კერძოდ, საჯარო პოლიტიკის კურსდამთავრებულთა სკოლის დეკანი დოქტ. ვენგ ტატ ჰუი, აღმასრულებელი დირექტორი დინარა აშიკბაევა და ხალხთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მენეჯერი იულია კაუფმანი.

ვენგმა ჩაატარა პრეზენტაცია და დაწვრილებით ისაუბრა ნაზარბაევის უნივერსიტეტის შესახებ, კერძოდ, საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო და სადოქტორო ინსტიტუტის პროგრამების პრიორიტეტებზე, მიღების პროცედურებისა და უცხოელი სტუდენტებისთვის სტიპენდიების მოპოვების შესაძლებლობების შესახებ.

ორივე მხარემ განიხილა უახლოეს მომავალში საინტერესო ერთობლივი პროექტების, გაცვლითი პროგრამების, სემინარებისა და საჯარო ლექციების ჩატარების პერსპექტივები.

გამოშვება 2018

კესო მამფორია

კურსდამთავრებულთა რიგით მე-19 გამოსაშვები ცერემონია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 22 ივნისს გაიმართა. უნივერსიტეტი წელს 295-მა სტუდენტმა დაამთავრა, მათ შორის საქართველოს მოქალაქეების გარდა 10 სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუდენტებიც იყვნენ. ცერემონიის დასაწყისში სტუდენტებს რექტორმა ილიას ჩილოდლუმ სიტყვით მიმართა, მან ბაკალავრებს უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრება მიულოცა და კარიერულ გზაზე წინსვლა უსურვა.

ცერემონიის ფარგლებში საუკეთესო მოსწრების, ანუ GPA-ის მქონე სტუდენტებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ, რის შემდეგაც მათ დამსწრეებს სამადლობელი სიტყვით მიმართეს. რამდენიმე მათგანს „მედიაკლუბი“ გაესაუბრა და საკუთარი შთაბეჭდილებები გაუზიარა:

“განვლილი ოთხი წელი იყო ძალიან დატვირთული და გამოცდილებით სავსე, შემიძლია ვთქვა, რომ მრავალფეროვანი გამოცდილება მივიღე. რაც შეეხება ფაკულტეტს, ადმინისტრაციის წევრები მუდმივად ზრუნავენ იმაზე, რომ სტუდენტები განვითარდნენ არა ერთი კუთხით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. სანამ ჩვაბარებდი უნივერსიტეტში ჩემთვის პრიორიტეტული იყო ინგლისური ენის ფაქტორი და სწორედ ამით ვიხელმძღვანელე, როცა უნივერსიტეტს ვარჩევდი. კარგია, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში დიდი ყურადღება ექცევა ინგლისური ენის კომპონენტს”, თქვა მედიაკლუბთან საუბრისას სამართლის ფაკულტეტის სტუდენტმა ანა მიხელიძემ.

წლევანდელი გამოსაშვები ცერემონია წინა წლებისგან განსხვავებული იყო. წელს შავი ზღვის საერთშორისო უნივერსიტეი ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის პირველმა ჯგუფმა დაამთავრა.

„ეს ოთხი წელი საკმაოდ დატვირთული და მრავალფეროვანი აღმოჩნდა. ჩვენ ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის პირველი კურსდამთავრებულები ვართ და ვფიქრობ, რომ პროგრამამ ნამდვილად გაამართლა. უნივერსიტეტი ნამდვილად ცდილობს, რომ მთლიანად პრაქტიკაზე იყოს ორიენტირებული სწავლება, რაც არც ისე ხშირია დღესდღეობით. საუკეთესო 4 წელი გავატარე, ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე და რაც მთავარი გავიცანი ბევრი ისეთი ადამიანი, რომლებთან ურთიერთობამაც ბევრი რამ შეცვალა ჩემ ცხოვრებაში“, გვითხრა ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულმა გვანცა ნადიბაიძემ.

კურსდამთავრებულებისთვის განსკაუთრებულად ემოციური აღმოჩნდა სტუდენტობის ბოლო დღე.

„ განვლილი ოთხი წელიწადი იყო ყველაზე პროდუქტიული და მრავალმხრივი გამოცდილების მომცემი ჩემთვის. იბსუში ჩაბარება აბიტურიენტობისას გადავწყვიტე და პირველი კურსიდან მოყოლებული ვრწმუნდებოდი რომ არჩევანში არ შევმცდარვარ. საერთაშორისი ურთიერთობების ინგლისურ ენაზე შესწავლამ საშუალება მომცა დამეხვეწა ჩემი მეტყველებისა წერისა და მოსმენის უნარები და ასევე დამეხმარა დამეძლია საჯარო გამოსვლებისა და დიდი აუდიტორიების წინაშე წარდგომის შიში, რაც ჩემს პროფესიაში ერთობ მნიშვნელოვანია. საშუალება მქონდა სწავლის პარალელურად აქტიურად დავკავებულიყავი ჩემი სხვა გატაცებებით: სპორტით, მუსიკით ლაშქრობით და გაცვლითმა პროგრამამ რადიკალურად შეცვალა ჩემი მსოფლმხედველობა და დამეხმარა დაუვიწყარი გამოცდილება შემეშინა.

ჰოო დამთავრება მართლა შეუდარებელი გრძნობაა. ყველა იმ ემოციამ, რომელიც ამ ოთხი წლის განმავლობაში განმიცდია ერთად მოიყარა თავი და გამოშვების დღე ერთ დაუვიწყარ დღედ აქცია ჩემს მეხსიერებაში“, გვითხრა საერთაშორისო ურთიერთიბების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულმა ილია ნოზაძემ.

ცერემონიის დასასრულს საზეიმო ვითარებაში ტორტი გაიჭრა და ღონისძიება ტრადიციულად საბაკალავრო ქუდების ცაში ატყორცნით დასრულდა. ღონისძიების ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ კურსდამთვრებულებისთვის ლაივ კონცერტი გაიმართა.

ჯონ მაქსველ ჰამილტონი: „ძალიან ბევრია ჭკვიანი ჟურნალისტი, მაგრამ ძალიან ცოტაა თავდადებული ამ სფეროსთვის“

სალომე მუხიგულაშვილი

ჯონ მაქსველ ჰამილტონი ამერიკელი პროფესორია. მან შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის პროგრამის სტუდენტებთან თანამედროვე მედიის გამოწვევებზე ისაუბრა.

საქართველოში ერთ-ერთი ვიზიტის დროს ჯონ მაქსველ ჰამილტონმა „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში“ საჯარო ლექცია გამართა. ამერიკელმა ჟურნალისტმა ისაუბრა თემაზე - „მთავარი გამოწვევები ჟურნალისტიკაში“.

ჰამილტონი საქართველოს მეგობარია, მისი ხელშეწყობით რამდენიმე სტუდენტმა შეძლო სწავლის გაგრძელება და მაგისტრის ხარისხის მიღება საზღვარგარეთ. ჯონი პირველად 2001 წელს ჩამოვიდა საქართველოში. „მიყვარს საქართველო ბევრჯერ ვყოფილვარ აქ, ქართველები არიან ყველაზე მეგობრული და სულთმოყვარე ხალხი.“ იგი იხსენებს, იმ პერიოდს, როდესაც ქართულ ჟურნალისტიკაში იყო სირთულეები. „მაშინ ვიბრძოდით,

რომ რაღაც შეგვეცვალა ჟურნალისტიკაში, რათა მიგვეღწია უმაღლესი სტანდარტებისთვის.“ იგი ამბობს, რომ რაღაც თვალსაზრისით ჟურნალისტიკა საქართველოსა და ამერიკაში მსგავსი პრობლემების წინაშე იდგა.

ჰამილტონი შეეხო განმანათლებლობის პერიოდს, როდესაც სურვილი გაჩნდა მეტის გაგების და შესწავლის. მე-19 საუკუნეში დაიწყეს იმაზე ფიქრი, თუ რა ფორმით უნდა გადმოეცათ ე.წ. „ნიუსები“. „ამერიკული აზროვნებაა - დღეს რაც გვაქვს ეს გვაქვს.“ .ამბობს,ჰამილტონი.

ჰამილტონმა ვრცლად ისაუბრა ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევაზე, რის წინაშეც დღეს ქართული ჟურნალისტიკაც დგას. საუბარია ყალბ ჟურნალისტიკაზე. მან მოიტანა ციტატა 1914 წლის გამოცემული წიგნიდან, რომელიც იწყება შემდეგი ფრაზით - „ამერიკული ჟურნალისტიკა აქვეყნებს ხოლმე ყალბ ნიუსებს და ოსტატურად ახერხებს, რომ საზოგადოება არასწორი გზით წარმართოს.“

ჰამილტონი გამოყოფს სამი სახის ყალბ ნიუსს:

1. როდესაც ჟურნალისიტი შეცდომას უშვებს, მაგრამ არა მიზანმიმართულად.
2. როდესაც არაა გადამოწმებული ბოლომდე ინფორმაცია სიზარმაცის თუ სხვა მიზეზის გამო. ამას ის ცუდ ჟურნალისტიკას უწოდებს.
3. როდესაც ხდება გაყალბება, მიზანმიმართულად ინფორმაციის შეცდომით გავრცელება.

ჰამილტონი ჟურნალისტებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს - „ყველაფერს რასაც თქვენ ამბობთ არის სიმართლე.“

- შეაფასეთ პროპაგანდა საქართველოში, რა რჩევას მოგვცემდით სამომავლოდ ამასთან დაკავშირებით, როგორ გავუმკლავდეთ ამ გარემოს და როგორ ვაკეთოთ სწორი ჟურნალისტიკა?

თქვენი ქვეყანა ნაწილობრივ თავისუფალ მედიაში გადის, შეერთებულ შტატებთან შედარებით გაცილებით ცოტაა აქ ისეთი ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს თავისუფალ მედია ორგანიზაციად. ჩვენთან ეს უფრო ბევრია, აქედან ვვარაუდობთ რომ პროპაგანდა აქ უფრო გავრცელებულია,

ვიდრე ამერიკაში. მაგრამ საიმედოდ ვიტყვი იმასაც, რომ პროპაგანდა მარტო საქართველოში არაა. იქაც კი, სადაც დიდი ტრადიცია არსებობს თავისუფალი მედიის, ბევრი პროპაგანდისტია. ჩემი რჩევა იქნება გამოიმუშაოთ წერის სტილი.

წინა წლებთან განსხვავებით ბევრად უფრო სწრაფად ვრცელდება ინფორმაცია. ამასთან ჰამილტონმა ხაზი გაუსვა,რომ ჟურნალისტიკა მხოლოდ ახალი ამბები არაა. „დღეს ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი ახალი ამბავი, მაგრამ კიდევ უფრო ნაკლები ჟურნალისტიკა.“

- რატომ არის ჟურნალისტიკა თქვენი აზრით ერთ-ერთი საუკეთესო პროფესია მსოფლიოში?

ჟურნალისტიკა რეალურად მოქმედებს ცხოვრების გაუმჯობესებაზე და ეს არის ყველაზე კარგი ამ პროფესიაში. ხშირად, როდესაც ვიგებ, რომ სტატია დაიწერა შეიძლება არც კი წავიკითხო, მაგრამ მაინც მიხარია, რომ ეს სტატია დაიწერა, რადგან ზუსტად ვიცი, ამ სტატიის გამო რაღაც ცვლილება დადგება და ხელისუფლება იძულებული იქნება უკეთესობისკენ შეცვალოს რაიმე.

შეწყვიტე მოწევა!

თინათინ მარსაგიშვილი, მაგდა ბლუაშვილი, თაზო ზარიძე

Stop Smoking – „შეწყვიტე მოწევა“ - ამ სახელწოდებით „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში“ სემინარი ჩატარდა, რომელსაც თამბაქოს კონტროლის ალიანსის ხელმძღვანელი გიორგი ბახტურიძე უძღვებოდა. მან ისაუბრა თამბაქოს მავნეობაზე, მისი შეწყვეტის ეფექტურ ხერხებსა და თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებსა და ახალ რეგულაციებზე.

გიორგი ბახტურიძემ აღნიშნა, რომ სემინარის მიზანი ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და თამბაქოს მავნებლობის შესახებ სტუდენტების მაქსიმალური ინფორმირებაა. „ჯარიმები იმისთვის არ არის, რომ თამბაქოს მოხმარება შევამციროთ, არამედ იმისთვის, რომ შენობები გავათავისუფლოთ თამბაქოს კვამლისგან და ჩვენი მოსახლეობა, განსაკუთრებით ბავშვები და ახალგაზრდები, დავიცვათ თამბაქოს მეორადი კვამლის ზეგავლენისგან. მოწევის შეწყვეტა, რა თქმა უნდა, ურთულესი პროცესია და სემინარმა ზოგიერთ მწეველს შეიძლება უბიძგოს თამბაქოს მოხმარების შეწყვეტის ან შემცირებისკენ.“ - გიორგი ბახტურიძე. მან ასევე, ახალგაზრდებს ურჩია, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესი დაეხმარებათ თამბაქოსთვის თავის დანებებაში.

სემინარს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ექიმი მარიამ ზებედაშვილიც ესწრებოდა. მისი თქმით, აუცილებელია სტუდენტების ინფორმირება თამბაქოს მოხმარების უარყოფით შედეგებზე. „სემინარი იმითია მნიშვნელოვანი, რომ ბევრმა არ იცის თუ რამდენად საზიანოა თამბაქო მისი ორგანიზმისთვის, ჩვენ დეტალურად განვიხილეთ ყველაფერი. ჩემი აზრით, ვისაც სურვილი აქვს თავი დაანებოს თამქაბოს მოხმარებას ის აუცილებლად შეძლებს ამას. “

შეხვედრისას, მსურველებს შესაძლებლობა მიეცათ გაეგოთ მათ მიერ ამოსუნთქულ ჰაერში მხუთავი აირის (CO) მოცულობა და ასევე კარბოქსიჰემოგლობინის დონე.

ვიზიტი ერგნეთის ომის მუზეუმში

2018 წლის 19 მარტს, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის სტუდენტები და ადმინისტრაციული პერსონალი ომის მუზეუმს სოფელ ერგნეთში ეწვივნენ, რომელიც ოკუპირებული ცხინვალიდან 500 მეტრის დაშორებით მდებარეობს. ომის მუზეუმი ერგნეთის მკვიდრმა, ლია ჩლაჩიძემ ,საკუთარ სახლში, 2008 წლის აგვისტოს ომის მეცხრე წლისთავზე დააარსა. სტუდენტებსა და მუზეუმის დამაარსებელს შორის საინტერესო დისკუსია გაიმართა. ომის მუზეუმში ვიზიტის შემდეგ კი სტუდენტებმა შინდისის ბრძოლაში გმირულად დაღუპული მებრძოლების მემორიალს მიაგეს პატივი.

კრიტიკული აზროვნება და მისი აუცილებლობა თანამედროვე სამყაროში

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში „კრიტიკული აზროვნების სკოლის“ დამფუძნებელის გიგი თევზაძის საჯარო ლექცია „კრიტიკული აზროვნება და მისი აუცილებლობა თანამედროვე სამყაროში“ გაიმართა

ლექციის ფარგლებში, სტუმარმა შემდეგი თემები განიხილა:

- თანამედროვე განათლება და კრიტიკული აზროვნება;
- კრიტიკული აზროვნება და თანამედროვე საინფორმაციო სივრცე;
- კრიტიკული აზროვნების და თვითიდენტიფიკაციის ისტორია;
- თანამედროვე კრიტიკული აზროვნების მეთოდი და წესები;

ლექცია ინტერაქციული ხასიათის იყო და თვითშემეცნებისა, თვითრეფლექსიის კონსტრუირების ძირითადი პრინციპებს შეეხებოდა. ასევე, ამ კუთხით საგანმანათლებლო სისტემის სუსტ მხარეებს და შესაძლო განვითარების გზებს.

“სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიღწევები და გამოწვევები”

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ორგანიზებით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა ალექსანდრე დარახველიძემ საჯარო ლექცია გამართა თემაზე - “სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიღწევები და გამოწვევები”.

ლექციის ფარგლებში, სტუმარმა ინტერაქციულ რეჟიმში სტუდენტებთან ერთად განიხილა სამინისტროს ფუნქცია, სტრუქტურა, რეფორმები და

დაქვემდებარებული უწყებები, ასევე, ისაუბრა ბოლო წლების განმავლობაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტებში არსებულ აქტუალურ პრეცედენტებზე.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად,სიახლეების დანერგვასა და ახალი პროექტების

განხორციელებას კვლავ განაგრძობს და ამ პროცესში და მათი თქმით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან აქტიურ თანამშრომლობას. აქედან გამომდინარე,დაიგეგმა ერთობლივი ღონისძიებები სამართლის ფაკულტეტის სტუდენტების მონაწილეობით.

საბანმანათლებლო ტური ეროვნულ ბანკში

23 აპრილს,შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის , სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით,საქართველოს ეროვნულ ბანკში,საგანმანათლებლო ტური გაიმართა . ეკონომიკის სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა ჩართულიყვნენ ეროვნული ბანკის მუშაობის პროცესში და უკეთ გაცნობოდნენ ეროვნული ბანკის ფუნქციებს.

საზაფხულო სკოლა ამსტერდამის უნივერსიტეტიდან

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა უმასპინძლა ერთ-კვირიან საგაზაფხულო სკოლას ამსტერდამის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის (Amsterdam University of Applied Sciences) წარმომადგენლებთან ერთად. პროფესორმა სანდერ შროევერმა ამსტერდამის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტიდან ჩაატარა 1 კვირიანი კურსი პიარის საფუძვლებსა და პრაქტიკაში. პროგრამის მიზანია საქართველოში პიარის შესახებ წიგნის გამოცემა. პროფესორის მიხედვით წიგნი საქართველოში დაიბეჭდება და მას მიენიჭება ISBN ნომერი.

მასში მონაწილეობას იღებდა 10 ქვეყნის 21 სტუდენტი , მათ შორის, ჰოლანდიიდან, გერმანიიდან, შვედეთიდან, იტალიიდან, ბულგარეთიდან, სომალიდან, სამხრეთ კორეიდან, ინდოეთიდან და ბელგიიდან. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან პროგრამაში ჩაერთო 7 სტუდენტი: 6 ქართველი და 1 კოლუმბიელი. სტუდენტები დაყვეს ჯგუფებად და მათ მიეცათ შესაბამისი დავალებები.

გაიცანი ჩინეთი

15-16 მაისს გაიმართა საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის პროგრამის მიერ ორგანიზებული ტრენინგი სახელწოდებით „გაიცანი ჩინეთი“.

ლექციები შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: საჯარო მმართველობა საქართველოსა და ჩინეთში, ჩინური კულტურა, ჩინეთის დიდი კედლის საიდუმლო, ტერაკოტას არმია, შანხაი,ჰონკონგი და მაკაო. პირველი ქართულ-ჩინური სასაუბრო, ნობელიანტი მწერლის წიგნები ქართულ ენაზე.

პროექტის ფარგლებში მონაწილეები აქტიურად იყვნენ ჩართულები დისკუსიაში. ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს სერთიფიკატები გადაეცათ.

მემორანდუმი კომუნიკაციების ცენტრთან

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტსა და სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. შეხვედრის დროს, ფაკულტეტის

ადმინისტრაციამ და ცენტრის დამფუძნებელმა, გიორგი მოლოდინმა სამომავლო თანამშრომლობის გეგმებზე ისაუბრეს.

უნივერსიტეტი რომელიც ზრუნავს საკუთარი სტუდენტების რეალიზებასა და განვითარებაზე

თინათინ მარსაგიშვილი, მაგდა ბლუაშვილი

„შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ კარიერის დაგეგმვის სამსახურმა ახალი პროექტი - „მოხალისე“ დაიწყო, რამაც დიდი დაინტერესება გამოიწვია. პროექტმა უნივერსიტეტის სტუდენტები და თანამშრომლები საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად გააერთიანა. დაიგეგმა ლექციათა განრიგი და გამოიყო სხვადასხვა მიმართულებები, ესენია: „თანამედროვე პოლიტიკური სისტემები“, „ვიოლინოს შესწავლა“, „ფორტეპიანოზე დაკვრა“, „რუსული ენის შესწავლა“, „სტატიის წერის ტექნიკა“, „Start-up Accelerator - როგორ გარდავსახოთ იდეა რეალურ ბიზნესამდე” „Cinematography”, „ლიდერული თვისებები და პრიორიტეტები“, „ეფექტური კომუნიკაცია“, „ილუსტრატორი“, „აკადემიური წერა“, „public speaking ”, „პრაქტიკული კერძო სამართალი“ და „ინგლისური ენის შესწავლა.“

პროექტის ფარგლებში დამსწრეებს მიეცემათ საშუალება მიიღონ ხარისხიანი განათლება კონკრეტულ სფეროებში და გამომუშაონ გარკვეული უნარ-ჩვევები, რაც მათ მომავალში წარმატების მიღწევაში დაეხმარება. პროექტის მოხალისემ თამარ გვილავამ, რომელიც „ეფექტურ კომუნიკაციასა“ და „ილუსტრატორს“ შეასწავლის მსურველებს თქვა, „ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ „მოხალისე“ გახდე სურვილია. სურვილი ცოდნის თუ გამოცდილების გაზიარების ყველას არ აქვს. ამიტომ ვფიქრობ, თუ სურვილი აქვს ადამიანს აუცილებლად შეძლებს გახდეს მოხალისე. რაც შეეხება პროექტ “მოხალისეს” ეფექტურობასა და შედეგიანობას, ვფიქრობ, დადებითი შედეგი ექნება, რადგან მთელი გუნდი მონდომებულია და ხარისხს დიდი ყურადღება ექცევა. ჩვენი მაქსიმუმი გვინდა ჩავდოთ ამ პროექტში. ჩემი კურსები სარგებლიანი იქნება, რადგან ვფიქრობ, სწორად ავირჩიე ის თემა, რომლიც უნდა გავუზიარო თანატოლებს. ტრენერობის 1 წლიანი გამოცდილება მაქვს, რის გაზიარებასაც ეფექტური კომუნიკაციების კურსში ვაპირებ და არა მხოლოდ ამ გამოცდილების. ხოლო, რაც შეეხება ილუსტრატორს, ამ კურსის მიზანია მონაწილეებს 6 კვირაში ჩამოუყალიბოს ბაზა, რომლის განვითარებაც ძალიან მარტივად იქნება შესაძლებელი ინდივიდუალურადაც. ამ პროგრამაში ჯერჯერობით მეც დამწყების სტატუსი მაქვს, თუმცა კურსის მიზნის შესრულებისთვის აუცილებლად საკმარისი იქნება და შესაბამისად, შედეგიც სარგებლიანი და ეფექტური.“

ანი ჭედია ატარებს ლექციებს სახელწოდებით „ლიდერული თვისებები და პრიორიტეტები.“ იგი ამბობს, რომ პროექტის მოხალისეს კონკრეტული უნარჩვევები არ სჭირდება. მთავარია მონდომება, ეფექტური კომუნიკაცია და პასუხისმგებლობის გრძნობა. ის თვლის, რომ პროექტი საინტერესოა და რა თქმა უნდა, შედეგიანიც იქნება. მოხალისეები ისწავლიან ბავშვებთან კომუნიკაციას და მიიღებენ გამოცდილებას.

პროექტი წარმატებით მიმდინარეობს და მასში ჩაბმული თითოეული მსურველი თუ მოხალისე არის დასტური იმისა, რომ „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში“ ხარისხიანი ცოდნის მიღებაა შესაძლებელი. IBSU ზრუნავს სტუდენტების რეალიზებასა და განვითარებაზე.

თანამედროვე განათლება და კომპეტენციების ომი

სოფიო ხეცურიანი

„თანამედროვე განათლება და კომპეტენციების ომი“ - ამ თემაზე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ბიზნეს კონსულტანტ მედეა ტაბატაძის საჯარო ლექცია გაიმართა. მედეა ტაბატაძის თქმით, მისი მიზანია საკუთარი ცოდნა და გამოცდილება სტუდენტებს გაუზიაროს. მან აგრეთვე რჩევის სახით აღნიშნა, რომ აუცილებელია ახალგაზრდებმა მიღებულ ინფორმაციას კრიტიკულად შეხედონ. „ლექციაზე ვისაუბრე განათლების სწავლების პროცესის და განათლების, როგორც კონცეფციის აღქმის ევოლუციაზე. ცივილიზაციის სხვადასხვა ეპოქაში ადამიანების მიერ ცოდნის შექმნასა და გამოყენებაზე, ასევე, მე-20 და 21-ე საუკუნის ძირითად მიღწევებზე და თანამედროვე გამოწვევებზე“- აღნიშნა მედეა ტაბატაძემ.

ლექციის მსვლელობისას, დამსწრე საზოგადოებას საშუალება ჰქონდა უკეთ გაცნობოდა ძველ ეგვიპტურ, რომაულ, ჩინურ, შუმერულ და ფინიკიურ ცივილიზაციებში განათლების განვითარების პროცესს, ცოდნის შენარჩუნებისა და გავრცელების სხვადასხვა გზებს და იმ უნარჩვევებს,რომლებსაც ადამიანები ამა თუ იმ ეპოქაში გამოიმუშავებდნენ. ასევე, განხილული იყო ის კრიტერიუმები, რომლებსაც 21-ე საუკუნის, თანამედროვე ადამიანი უნდა აკმაყოფილებდეს.

IBSU-ს სტუდენტმა ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯში 49,000 ევროს ოდენობის სტიპენდია მოიპოვა

იბსუ-ს ბიზნესის მართვის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ვეკო იჩქითი ლონდონში მაგისტრატურაზე განაგრძობს სწავლას. მან მოიპოვა €49,000 ოდენობის სტიპენდია ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯში (ნივერსიტყ ჩოლლეგე ონდონ), რომელიც რეიტინგით, მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში მე-7 ადგილს იკავებს.

“პირველი სასწავლო წელი ლონდონში ამავე უნივერსიტეტში მიმდინარეობს და მეორე წელი პოლონეთში, ჟაგელლიონიან ნივერსიტყ-ში. სწავლის წლიური ღირებულება €21,300-ია. შესაბამისად სტიპენდია სრულად ფარავს სასწავლო გადასახადს.

თუმცა, როგორც ვიცით, ლონდონში ცხოვრება საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ეს ფაქტორი კი ძალიან მაფერხებდა და დღემდე მაფიქრებს.

ჩემი ლექტორების თანადგომითა და რჩევით ერთი წინგადადგმული ნაბიჯი უკვე მაქვს. კერძოდ, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა გამომიყო დაფინანსება ბილეთებისა და საცხოვრებელი ხარჯებისთვის.

აღნიშნულ უნივერსიტეტში,მაგისტრატურის ხარისხის მოპოვება მნიშვნელოვანწილად დამეხმარება სამომავლო განვითარებასა და წინსვლაში. ზოგჯერ მართლაც, რომ დაუჯერებლად მეჩვენება ეს ამბავი რაც ჩემს თავს ხდება, მაგრამ კედელზე აფიშირებული სტიპენდიის დამადასტურებული დოკუმენტი მალევე მაბრუნებს რეალობაში.

ცხადია წინ კიდევ დიდი შრომა და მონდომება დამჭირდება, თუმცა მონდომებისა და მომავალზე ორიენტირებული შედეგების საფუძველზე მჯერა რომ შევძლებ ყველაფრის წარმატებით დასრულებას”,– აღნიშნა ვეკო იჩქითმა.

სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევა IBSU-ს პრიორიტეტული მიმართულებაა

თინათინ გოგიშვილი

კვლევითი ცენტრები, სამეცნიერო ჟურნალები, საერთაშორისო კვლევითი და სტუდენტური კონფერენციები - ეს იმ ღონისძიებების მცირე ჩამონათვალია, რომელთაც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ყოველწლიურად თავის სტუდენტებსა და პროფესორებს სთავაზობს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო-კვლევით დარგში ასოც. პროფ. დოქტ. მურათ ერგუვანი ამბობს, რომ სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევა IBSU-ს პრიორიტეტული მიმართულებაა, ეს უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ გეგმაშია ასახული.

მისი ინფორმაციით, იბსუში ახალი დაარსებულია საერთაშორისო კვლევებისა (ევროპისმცოდნეობა; შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკა; ამერიკისმცოდნეობა; ჩინეთისმცოდნეობა) და ინტერდისციპლინარული კვლევითი ცენტრები (კვლევა და ინოვაცია; სწავლა-სწავლება; ეკონომიკის კვლევები). საკუთარი გამოცდილების სტუდენტებისთვის გაზიარება, კვლევის თემების მოძიებისა და გამოქვეყნების პროცესში სტუდენტების დახმარება, საზღვარგარეთ არსებულ კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა - ეს არის ის, რასაც იბსუს კვლევითი ცენტრები მიზნად ისახავს.

უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორების კვლევების შედეგებს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალებში გაეცნობით. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა, ტექნიკური მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების, ბიზნესისა და განათლების ჟურნალი შავი ზღვის რეგიონში - იბსუს ფაკულტეტების ჟურნალების გამოქვეყნების მრავალწლიანი ტრადიცია აქვს.

2003 წლიდან შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი „აბრეშუმის გზის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის“ მასპინძელია. კონფერენცია გამოჩენილ მეცნიერებსა და სფეროს ექსპერტებს საშუალებას აძლევს, განიხილონ პრობლემური საკითხები, განვითარდნენ პროფესიულად და ერთმანეთს თავიანთი გამოცდილება გაუზიარონ.

2007 წელს IBSU-მ დააარსა საერთაშორისო კვლევითი კონფერენცია ამერიკისმცოდნეობაში - AMSC. პროექტი ხელს უწყობს ამერიკისმცოდნეობის ისეთი მიმართულებების განვითარებას, რომელიც ერთ-ერთ ... ...

ᲧᲘᲒᲜᲘᲡ "ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ" ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ორგანიზებით ამავე უნივერსიტეტის პროფესორის,ეკა ავალიანის წიგნის - „მარადიული ქალაქები" პრეზენტაცია გაიმართა.

წიგნი ქალაქის ტრადიციის შექმნას, გამოგონებას, შემუშავებასა და XXI საუკუნეში მის აღქმას ეძღვნება. ნაშრომის მიზანი ძველი ქალაქების სხვადასხვა რაკურსიდან გახსენება და თანამედროვე ქალაქების წარსულთან დაკავშირებაა.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის, ვინც დაინტერესებულია გლობალური ისტორიისა და სოციალური ურთიერთობების პრობლემატიკით.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ "ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ 2-ᲨᲘ"

ᲑᲔᲭᲐᲜ ᲑᲔᲠᲣᲚᲐᲕᲐ

„შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" სტუდენტური თვითმართველობის პიარ-დეპარტამენტის ორგანიზებით პროექტი „ვიზიტი რუსთავი2-ში" ჩატარდა.

პროექტის ფარგლებში სტუდენტებმა დაათვალიერეს ტელე-კომპანიის სამუშაო პროცესი, ახალი ამბების რედაქცია, არქივი, სამონტაჟო, პავილიონები და სტუდიები.

გარდა ამისა, სტუდენტები ტელეკომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილეს, ასოცირებულ პროფესორს ნინო ნაკაშიძეს შეხვდნენ, რომელმაც არხის პერსპექტივებსა და პრობლემებზე, მედია თავისუფლებასა და ჟურნალისტურ ეთიკაზე ისაუბრა. „ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოების სწორად ინფორმირებაა, ასევე ის, რომ რუსთავი 2-ს ხალხი ენდობა."

ნინომ ჩვენთან საუბრისას გაანაცხადა, რომ სტუდენტები, რომლებიც ეუფლებიან ამ პროფესიას მესამე-მეოთხე კურსებზე საშუალება ექნებათ გაიარონ სტაჟირება ტელე-კომპანია რუსთავი 2-ში.

შეხვედრა ინტერაქტიული ხასიათის იყო. სტუდენტებს მიეცათ საშუალება მიეღოთ საინტერესო პასუხები, მათთვის მნიშვნელოვან კითხვებზე.

IBSU -ს ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

IBSU-ს საერთაშორისო ურთიერთობების მესამე კურსის სტუდენტი გიორგი კალანდაძე St. John's college-ში, ანაპოლისის კამპუსში ლიბერალ არტ-ის საბაკალავრო პროგრამაზე ჩიარიცხა და 44 ათასი დოლარის დაფინანსება მოიპოვა.

''კარგი შეგრძნებაა, როდესაც მთელი წლის შრომის შემდგ საბოლოოდ იმას მიაღწევ რაც მიზნად დაისახე. აგვისტოს დასაწყისში ჩავალ ანაპოლისში და ვისწავლი ზუსტად იმას, რაც ნამდვილად მინდა რომ ვისწავლო. რომ არა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ჩემი მიზნის მიღწევა ძალიან გამიჭირდებოდა. IBSU-ს ადმინისტრაცია და ჩემი ლექტორები ძალიან დამეხმარნენ. იქაური გადასახადი წელიწადში 50 ათას დოლარს შეადგენს, საიდანაც 44 ათასს ჩემ მიერ მოპოვებული Trustee scholarship-ით ვიფინანსებ. დარჩენილ თანხას კი ნაწილს კამპუსზე მუშაობით დავფარავ.'' - გიორგი კალანდაძე.

ᲢᲔᲚᲔᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲔᲑᲘ - ᲖᲐᲖᲐ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐᲡ ᲚᲔᲥᲪᲘᲐ

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲛᲣᲮᲘᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

"ტელევიზიას გაუჩნდა ძალიან დიდი ალტერნატივა ინტერნეტისა და სოციალური პლატფორმის სახით," - ზაზა შენგელია

ზაზა შენგელიამ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, საჯარო ლექცია გამართა. 1992 წელს მან და მისმა მეგობრებმა, პირველი დამოუკიდებელი ტელეკომპანია "იბერვიზია" დააარსეს. ტელეკომპანიამ მხოლოდ ორი წელი იარსება და სამოქალაქო ომის დროს დაიშალა. შედეგ მან ტელეფესტივალი „მანა" ჩამოაყალიბა რომელიც ტარდებოდა სამი წელი, 1994-დან 1996-ის ჩათვლით. ზაზა

შენგელია ასევე მუშაობდა 1999 წლიდან 2000 წლის ჩათვლით საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარედ. სწორედ მან და მისმა მეგობრებმა შექმნეს ტელეკომპანია „მზეც". 2011 წელს კი შექმნა "Bravo records"-მუსიკალური ბიზნეს კომპანია. რომელმაც წელს ამერიკული გრემი აიღო.

შეხვედრის ფარგლებში ზაზა შენგელიამ ტელეინდუსტრიაზე და მის გამოწვევებზე ისაუბრა :

„მსოფლიოში მიმდინარეობს ძალიან სერიოზული ტექტონიკური ძვრები, როგორც მუსიკალურ, ასევე ელექტრონულ მედიაში. ამის მიზეზი არის ის რომ, გაჩნდა სხვადასხვა საშუალებები, რომლებმაც თავდაყირა დააყენა ყველაფერი. ტელევიზიას გაუჩნდა ძალიან დიდი ალტერნატივა ინტერნეტის სახით და სოციალური პლათფორმის სახით. მოსახლეობის ზრდასთან ერთად გაიზარდა ინტერნეტის მომხმაარებელთა რაოდენობაც. სწორედ ამ ყველაფრის საფუძველზე ბეჭდურმა მედიამ დიდი დარტყმა მიიღო. შედარებით ნელა ვითარდება ტელევიზია და რადიო ონლაინ რეკლამასთან შედარებით. ციფრულ მაუწყებლობასკი რაც შეეხება , ამ მხრივ სრულიად შეიცვალა ყველაფერი .

უფასოა მომხმარებლებისთვის. თუმცა, ჯერ კიდევ რეგიონებში, არ არის მასშტაბური წვდომა ინტერნეტზე, უახლოეს მომავალში ესეც გარდაუვალია იმიტომ რომ, გაჩნდა ინტერნეტის მიწოდების მარტივი გზები."-ამბობს ზაზა.

ზაზა შენგელია ასევე გამოეხმაურა მარკ ცუკერბერგის ორიგინალურ პროექტს .

"მათ უნდათ რომ გაუშვან თვითმფრინავები, რომლებსაც ძალიან დიდხანს შეუძლიათ ფრენა. საუბარია ისეთ თვითმფრინავებზე, რომლებიც დაფარავენ მთელს დედამიწას და უზრუნველყოფენ უფასო ინტერნეტით. აღსანიშნავია ისიც რომ, რომის პაპმა კურთხევა მისცა ამ პროექტს. ეს ცვლილება გამოიწვევს იმას რომ, საბოლოოდ ინტერნეტი დაიკავებს სრულ უპირატესობას.

რაც შეეხება ამერიკულ და ბრიტანულ ტელეარხებს, ამერიკაში არის ძირითადი სამი არხი, რომლებიც ბატონობდნენ ამერიკულ ტელესივრცეში. ABC (ეი ბი სი), MBC (ემ ბი სი) და CDS (სი დი ესი). ემ ბი სი უპირობო ლიდერია ტელევიზიის ისტორიაში. მათ ჰყავდათ პირველი წამყვანი, მათ ეკუთვნით პირველი დილის გადაცემა, პირველი ჟურნალისტური გამოძიება, ახალი ამბების პროგრამა. ასევე პირველი ფერადი მაუწყებლობა. ამიტომ, მათი ემბლემა არის ფარშევანგის ფერადი კუდი, ფერადოვნებისა და მრავალფეროვნების სიმბოლო." - ზაზა შენგელია.

მისი თქმით, ამერიკის საკაბელო არხის, CNN-ის (სი ენ ენ) გენიალურობა თავად CNN-ის შექმნაში მდგომარეობს.

"მსოფლიო მედიაში ისინი პირველები არიან, ეს ერაყის ომის დროს და ასევე პრინცესა დიანას გარდაცვალების დროსაც კარგად გამოჩნდა. სი ენ ენ-ის შექმნის გენიალობა სწორედ ამაშია. მისი მაუწყებლობა იყოფა საშინაო და საგარეო მაუწყებლად. ამერიკელები მოიკოჭლებენ საერთაშორისო ნიუსების გაშუქებაში. ამის გამო მოთხოვნადია BBC-ც (ბი ბი სი). ის იმდენად კარგად აკეთებს საერთაშორისო ამბებს, ისე ხარისხიანად და კარგი ანალიზით რომ, ამერიკაში BBC-ის ჰყავს ბევრი გამომწერი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

დიდი ბრძოლა მოუწიათ BBC ჟურნალისტებს რომ არხის დამოუკიდებლობა და თავისუფლება დაეცვათ. რომ არა ხალხის თანადგომა ბი ბი სი -ს მიმართ, მას მუქი მომავალი ექნებოდა. -გვიყვება ზაზა შენგელია.

ᲡᲢᲠᲐᲡᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲢᲠᲔᲜᲘᲜᲒᲘ

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში რენე კასინის ფონდის - სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ინიცირებული სამდღიანი ტრენინგი „საერთაშორისო სისხლის სამართალში" მიმდინარეობს. პროექტი მიზნად ისახავს მონაწილეთა ცოდნის გაღრმავებას ადამიანის უფლებათა დაცვის შიდა და საერთაშორისო სამართალში, შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმებით უზრუნველყოფას და ფუნდამენტური უფლებების დარღვევის თავიდან აცილებას.

უნივერსიტეტის რექტორთან შეხვედრისას ტრენინგის უცხოელმა ორგანიზატორმა და პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ფართოდ განიხილეს თემასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) ოფისის ხელმძღვანელმა საქართველოში, კაუპო კენდმა გააცნო სასამართლოს საქმიანობა,დანიშნულება და საქართველოში ფუნქციონირების მნიშვნელობა, ხოლო ელსა ზიმერმა, რომელიც რენე კასინის ფონდის - სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტის პროგრამების სამსახურის თანამშრომელია, მის მნიშვნელობასა და უპირატესობებზე ისაუბრა ვრცლად.

ᲚᲘᲓᲡ ᲑᲔᲙᲔᲢᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲒᲕᲔᲬᲕᲘᲐ

სწავლების ხელოვნების ცენტრსა და განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი დოქტორი აივორ თიმისი (Leeds Beckett University, UK) 10 იანვარს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ეწვია. პროფესორი აივორი შზსუ-ს ჟურნალის "შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების განათლების ჟურნალის" სარედაქციო კოლეგიის წევრია. შეხვედრაზე საუბარი შეეხო სადოქტორო დისერტაციების თანახელმძღვანელობას განათლების მეცნიერებების პროგრამაზე,ერთობლივ კვლევებსა და უნივერსიტეტებს შორის შემდგომ თანამშრომლობას.

აივორ თიმისი დაახლოებით 30 წლის განმავლობაში ინგლისური ენის მასწავლებელია და მუშაობს როგორც მასწავლებელთა ტრენერი და სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელი. მისი კვლევის ძირითადი ინტერესები დაკავშირებულია ზეპირი / სასაუბრო ენის სწავლებასთან. მას გამოქვეყნებული აქვს სტატიები ჟურნალებში "ინგლისური ენის სწავლება" და "გამოყენებითი ლინგვისტიკა". ამასთან, ის "TESOL-ის კვარტალური მიმოხილვის" სარედაქციო კოლეგიის წევრიცაა. აივორ თიმისი რამდენიმე წიგნის ავტორია ინგლისური ენის სწავლებისა და ლინგვისტიკის დარგში.

პროფესიული უნარების გაუმჯობესება და კვალიფიკაციის ამაღლება: IBSU ტრენინგ ცენტრი

დიანა ცაბაძე

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, 2011 წლიდან ფუნქციონირებს "IBSU Training center-ი", რომლის მიზანია სახელმწიფო ინსტიტუტისა თუ კერძო სექტორში დასაქმებული კადრების პროფესიული უნარების გაუმჯობესება და კვალიფიკაციის ამაღლება. ტრენინგის გავლის შემდეგ კლიენტებს ორენოვანი სერთიფიკატები გადაეცემათ.

„ტრენინგ ცენტრის მთავარი და ალბათ ერთადერთი მოთხოვნა არის ის, რომ კლიენტი იყოს სკოლა დამთავრებული. ტრენინგები გამიზნულია პრაქტიკული ცოდნის მიღებაზე , ამიტომ ლექციებს ატარებენ კომპეტენტური ტრენერები, კონკრეტულად კი პრაქტიკოსები, რომელთაც აქვთ მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება სხვადასხვა წამყვანი კომპანიების ტოპ-მენეჯმენტსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში. ცენტრში მოქმედებს ფასდაკლებების სისტემა და გადახდის მოხერხებული პირობები ნებისმიერ მომხმარებელზე, ხოლო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები სარგებლობენ 50%-იანი ფასდაკლებით. ბოლოს კი სერთიფიკატის მისაღებად საჭირო, დაესწრონ ტრენინგს, მიიღონ მონაწილეობა და ჩააბარონ ტესტირება ან პრეზენტაცია." - განაცხადა „IBSU Training center-ის პროგრამირების ხელმძღვანელმა ანა შეყლაშვილმა.

ტრენინგ ცენტრი უკვე 7 წელია რაც წარმატებით ფუნქციონირებს, ამ ხნის განმავლობაში 1800-ზე მეტმა ადამიანმა გაიარა ტრენინგი. მათ შორის ერთ-ერთია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი ილონა გოგუა, რომელიც მადლიერებითა და კმაყოფილებით საუბრობს IBSU-ს, ტრენინგ ცენტრისა და მისი ხელმძღვანელის შესახებ- „გავიარე საზოგადოებასთან ურთიერთობის ტრენინგი სალომე მახარაძესთან და ასევე ხატია ალფაიძესთან - სტრატეგიული მარკეტინგული კომუნიკაციების ტრენინგი. ორივე შემთხვევაში საინტერესო ლექციები ჩაგვიტარდა, გავიგეთ PR -ის არსი , ძალიან ბევრ მსოფლიო ქეისებს განვიხილავდით და დაველებებს ვაკეთებდით. ვსარგებლობდი 50%- იანი ფასდაკლებით ორივე ტრენინგზე, რაც ასევე ერთგვარი წახალისებაა და სტუდენტის მოტივაციას ნამდვილად ამაღლებს. IBSU ყოველთვის მიწყობდა ხელს და არც ეს ტრენინგები იყო გამონაკლისი. რამდენჯერაც საშუალება მომეცემა, იმდენჯერ შემიძლია იბსუ და ტრენინგ ცენტრი, ასევე მისი ხელმძღვანელი, ანი ვაქო."

ტრენინგის წარმატებით გავლის შემთხვევაში კლიენტს, ტრენერების მიერ ჩატარებული ლექციებიდან მაქსიმალურად აქვს მიღებული პრაქტიკული და თეორიული ცოდნა. „მინდოდა გავრკვეულიყავი PR-ის ძირითად მიმართულებებში, სწორად და კონკრეტულად მიმეწოდებინა მომხმარებლისთვის პროდუქტის თვისება-უპირატესობები, შემდეგ ინტერნეტის დახმარებით შევიტყე ინფორმაცია ცენტრის შესახებ და გავიარე პიარმენეჯმენტის ტრენინგი, სადაც სულ მოკლე დროში შევძელი მიმეღო ცოდნა და კონკრეტული ქეისების განხილვით - გამოცდილება. ბოლოს კი მიღებული სერთიფიკატით დავიწყე მუშაობა ფარმაცევტულ კომპანიაში პიარმენეჯერის პოზიციაზე."- ამბობს ნათია ჩხარტიშვილი.

"IBSU Training center"-ს აქვს პირადი ვებგვერდი - www.trainings.ibsu.edu.ge საიდანაც მსურველს შეუძლია დაწვრილებით მიიღოს ინფორმაცია ცენტრის, ტრენერებისა და სატრენინგო თემების შესახებ .

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია "კავკასია გზაჯვარედინზე - რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები"

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „კავკასია გზაჯვარედინზე: რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები" „შავი ზღვის საერთაშორისო

უნივერსიტეტში" გაიმართა. ერთობლივი კონფერენცია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის თანამშრომლობით ჩატარდა და მოიცავდა ეკონომიკის, საერთაშორისო ურთიერთობების და ინტერდისციპლინალურ სესიებს.

მონაწილეებს, აკადემიური კომისიის წევრებს და სხვა სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ილიას ჩილოღლუმ, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა რამაზან აკბაშმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ზურაბ დავითაშვილმა.

გახსნის ცერემონიალის შემდეგ კონფერენციის მუშაობა გაგრძელდა სასესიო სხდომებზე. სესიები დაყოფილი იყო სხვადასხვა სფეროების და თემების მიხედვით. ღონისძიება 3 სესიად დაიყო, რომლის ფარგლებშიც მოხსენებები სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა წარადგინეს. კონფერენციის მსვლელობას თვალს ადევნებდნენ აკადემიური კომისიის წევრები შესაბამისი დისციპლინებიდან. მათი შეფასების საფუძველზე თითოეულ სესიაში გამოვლინდა გამარჯვებული ნაშრომის ავტორი. გამარჯვებულებმა სერთიფიკატებთან ერთად მიიღეს წიგნის მაღაზიათა ქსელ „ბიბლუსის" 100-ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერი.

ერთდღიანი კონფერენცია მიზნად ისახავდა სხვადასხვა პროფესიის ახალგაზრდებში ცოდნის ამაღლებას, მომავალი ლიდერებისა და მკვლევრების შეკრებას, რაც ხელს შეუწყობს დიალოგის პროცესს კავკასიის რეგიონულ სტაბილურობაზე.

კონფერენცია მიმდინარეობდა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტუდენტური პროექტი "ეკონომიკა დამწყებთათვის"

2018 წლის 12-13 მაისს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტები პროექტით „ეკონომიკა დამწყებთათვის" სტუმრობდნენ ბორჯომის მე-3 საჯარო სკოლას. პროექტში მონაწილეობა მიიღო 150-მდე სკოლის მოსწავლემ (მე-9, მე-10, მე-11, მე-12 კლასები). მათსავე თქმით, პროექტი გამოდგა საინტერესო, მხიარული და ,რაც მთავარია,პროდუქტიული. განხილული იყო ის ძირითადი თემები და ფუნდამენტური საკითხები, რომლებმაც საბაზისო ცოდნა შესძინეს პროექტის მონაწილეებს ეკონომიკის გარშემო. ვიმედოვნებთ, პროექტი ნელ-ნელა მასშტაბურ სახეს მიიღებს და ჩვენი უნივერსიტერტის ხელშეწყობით ესტუმრება სხვა რეგიონებსაც.

ახალგაზრდების როლი ეკონომიკის განვითარებაში

ეკონომიკის განვითარებაში ახალგაზრდების როლი

IBSU- ში კვლევებისა და ინოვაციების ჰაბის ორგანიზებით მასშტაბური ღონისძიება: "ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის და ინოვატორებისთვის" ჩატარდა.

მოწვეულმა სტუმრებმა სტუდენტებს ძირითადი ტენდენციები, შესაძლებლობები, გამოწვევები გააცნეს და საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში ახალგაზრდების როლზე ისაუბრეს. ასევე, სტარტაპების წარმატებულობის შესახებ გაუზიარეს გამოცდილება.

ეროვნული დამარცვლის კონკურსი ინგლისურ ენაში

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ეროვნული დამარცვლის კონკურსი ინგლისურ ენაში - The National English Spelling ჩომპეტიტიონ ეროვნული რაუნდის გახსნის ცერემონიაზე მიიღო მონაწილეობა და შემდგომ უკვე ფინალისტებს უმასპინძლა IBSU-ში.

ფინალისტები ''კვლევებისა და ინოვაციების ჰაბში'' ვორქშოფს დაესწრნენ, რომელიც თანამედროვე ბიზნესის, ეკონომიკის, მარკეტინგის და მენეჯმენტის გამოწვევებს შეეხებო.

კულტურის ფესტივალი

სალომე მუხიგულაშვილი

2018 წელს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში რიგით მეხუთე კულტურის ფესტივალი გაიმართა. უნივერსიტეტში 28 ქვეყნიდან 140 უცხოელი სტუდენტი სწავლობს. ფესტივალის ფარგლებში სტუდენტებმა თავისი ქვეყნის კულტურა და ტრადიციები წარმოადგინეს.

მზიანი, ფერადი სივრცე მრავალფეროვანი სტენდებით, ფერადი ბუშტებითა და ბევრი ღიმილით. ჭრელი დროშები ნაძვებს შორის, გვირილის გვირგვინიანი გოგონები და სხვადასხვა ფორმაში გამოწყობილი სტუდენტები. ბევრი სურნელი ერთად: სუჯუხის, აფხაზური ხალვის, ნიუორლეანსული ჯამბალის, დონატების, შოკოლადების და ა.შ. ფესტივალის გახსნამდე ერთ კუთხეში ნაციონალურ სამოსში გამოწყობილი ბავშვები ემზადებიან , მეორე მხარეს გიორგი ჯაფარიძე სპორტის დეპარტამენტის უფროსი ტრადიციულად წინა საფესტივალო განწყობას უქმნის სტუდნეტებს სხვადასხვა თამაშებით. პატარა მაგიდაზე დაწყობილი ხელნაკეთი ნივთები, სტენდების მოშორებით ვიოლინოს ხმა ისმის, იქვე ნახატების გამოფენაა. ეს ის დღეა, როცა სტუდნტები, ლექტორები, უნივერსიტეტის პერსონალი ერთად ერთობა და ეცნობა სხვადასხვა კულტურის გამოძახილს.

უნივერსიტეტის რექტორი ილიას ჩილოდლუ ამბობს: „ფესტივალი მეხუთედ ტარდება ჩვენს უნივერსიტეტში. ვთვლი რომ რადგან უკვე მეხუთეჯერ ტარდება მან დაიმსახურა სტუდენტების დიდი მოწონება.

პრორექტორი გოდერძი ბუჩაშვილი ამბობს, რომ ღონისძიებას 5 წლის წინ ჩაეყარა საფუძველი, იგი ყოველწლიურად პროგრესს განიცდის.

ქართული კულტურის სტენდს ნაციონალურ სამოსთან ერთად წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი კერძები, სადაც აფხაზური ხალვის.

ამერიკის სტენდთან წარმოდგენილია სხვადასხვა თამაშები. ერთი თამაშია, სადაც ამერიკის ისტორიული ფაქტების გამოცნობის შემთხვევაშია იგებ უგემრიელეს დონატებს.

თუბა თურანი იბსუს სტუდენტი თურქეთიდან წარმოადგენს თურქეთის სტენდს. აქვეა თურქეთის მნიშვნელოვანი დესერტი ფახლავა, ლახათლუხუმი. წინდები, რომლებსაც დედები უქსოვენ თავიანთ ქალიშვილებს გათხოვებისას, მსგავსი მნიშვნელობისაა ფერადი, თხელი თავსაბურავები.

პოლონური სტენდი სტუდენტებს სთავაზობს ინფორმაციას საზაფხულო სკოლებსა და თვითონ პოლონური ენის შესახებ.

დაჩი მაზანაშვილი წარმოადგენს ევროკავშირის სტენდს. ის სთავაზობს სტუდენტებს პოლიტიკური კულტურის მოკლე ისტორიას, ასევე მათ აქვთ სხვადასხვა პრიზები თამაშში გამარჯვებულთათვის.

ამილი კარაევი „მომწონს ყველაფერი. ახლა ვართ აზერბაიჯანის სტენდთან. დამახასიათებელი და გამორჩეულია ხალიჩები სხვადასხვა ორნამენტებით, ოდითგანვე ცნობილი იყო აზერბაიჯანული ხალიჩები, მას თურქული და სპარსული გავლენა აქვს.

ეგვიპტის სტენდთან დგანან ფარაონის და კლეოპატრას ფორმაში გამოწყობილი სტუდენტები. კაბა მკვეთრ ფერებშია: ოქროსფერ-წითელში სხვადასხვა ფერის მძივებითა და თვლებით გაწყობილი.

სომხურ სტენდთან ნახავთ საინტერესო სიმბოლოს, ეროვნული დროშის ფერებში გაკეთებულ ხეს, რომელიც სტუდენტების თქმით მშვიდობისა და სიცოცხლის სიმბოლოა.

მარიამ სევაკიანი სტუდენტი:

„ყველაფერი ძალიან მომწონს, ძალიან კარგია.. მომწონს ისიც რომ იმის საშუალება გვეძლევა მოვიწვიოთ ვინც გვსურს. მე ვარ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი და აქ მყავს სამი ჩემი მოსწავლე და ძალიან კარგად ერთობიან მადლობელი ვარ უნივერსიტეტის რომ ამის საშუალებას გვაძლევენ.“

უნივერსიტეტი საერთაშორისო მნიშვნელობისაა, შესაბამისად იგი იძლევა იმის საშუალებას, რომ მსგავსი ღონისძიებები გაიმართოს, რაც ასე ორგანული გახდა ამ უნივერსიტეტისთვის. სტუდენტები, რომლებიც ქმნიან მას არიან ცოცხლები, მხიარულები, კრეატიულები. აქ მულტიკულტურული გარემოა, რაც ასე განსაკუთრებულს ხდის უნივერსიტეტს.

ტექსტები დაარედაქტირეს მეოთხე კურსის სტუდენტებმა ლიკა ძლოვრელმა და ნათია შარმიაშვილმა

გაზეთზე იმუშავეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა

გაზეთი ეკუთვნის შპს “შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს” ვრცელდება უფასოდ

+995 32 2595005
+995 32 2595008
contact@ibsu.edu.ge
ibsu.edu.ge

დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ. 2 თბილისი, საქართველო 0131

IBSU MEDIA CLUB
#ibsumediaclub